20.03.2015
იუსტიციის სამინისტრო

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

მეთერთმეტე შეხვედრის ოქმი

ოქმი მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული კოორდინატორის, ქეთევან ცანავას მიერ

1. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- **საჯარო დაწესებულებების წარმომადგენელი ფორუმის მომხსენებლის წარდგენა**
  ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო
- **ინფორმაცია საქართველოში დაგეგმილი OGP-ის რეგიონული ღონისძიების შესახებ**
  ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო
- **OGP-ში საქართველოს პარლამენტის მონაწილეობის გეგმები - ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნა**
  ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- **სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების ანალიზი გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე**
  ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო
- **ინფორმაცია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეორე რაუნდის შესახებ; OGP-ის მიერ შემუშავებული ქვეყნის კალენდარი**
  ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო
- **ღია მმართველობის პარტნიორობის ჯილდო 2015**
  ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო
- **ვალდებულებების შესრულების პროგრესი:**
  - სსიპ - იუსტიციის სახლი - (1) კერძო სექტორის სერვისების დანერგვა იუსტიციის სახლებში; (2) მომხმარებლის ხმა; (3) JustDrive
  - მთავრობის ადმინისტრაცია - ელექტრონული პეტიციების პორტალი (ICHANGE.GE)
- **USAID-ის ჩართულობა ელექტრონული პეტიციების პორტალის შემუშავების პროცესში**
  USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში

DRAFT

2. საჯარო დაწესებულებების წარმომადგენელი ფორუმის მომხსენებლის წარდგენა

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ (შემდგომში - სამდივნო) ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის (შემდგომში - ფორუმი) საჯარო დაწესებულებების წარმომადგენელ მომხსენებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბ-ნ ზურაბ სანიკიძე დაასახელა. წარდგენილი კანდიდატურა ერთხმად იქნა არჩეული. ბ-ნ სანიკიძეს ფორუმის მომხსენებლის უფლებამოსილება ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) მოქმედების ვადით შეუნარჩუნდება.

3. ინფორმაცია საქართველოში დაგეგმილი OGP-ის რეგიონული ღონისძიების შესახებ

სამდივნომ ისაუბრა ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership - OGP) რეგიონული ღონისძიების შესახებ.

საქართველოს მთავრობა, როგორც OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრი, უმასპინძლებს OGP-ის რეგიონულ კონფერენციას, რომელიც 2015 წლის 3 და 4 ივნისს თბილისში, საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გაიმართება.

OGP-ის მიზანია წევრ ქვეყნებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარების რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობის შექმნა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება დაგეგმილი კონფერენციაც, რომელშიც OGP-ის 30-ზე მეტი წევრი ქვეყნის, სამუშაო ჯგუფებისა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იქნებიან სახელმწიფოთა მაღალი დონის წარმომადგენლები, მათ შორის, OGP-ის მმართველი კომიტეტის რამდენიმე წევრი ქვეყნის მინისტრი. კონფერენციაზე განხილული იქნება ღია მმართველობის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა, ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის შემუშავება და იმპლემენტაციის ხელშეწყობა. ღია მონაცემების სისტემისა და ელექტრონული სერვისების განვითარების მნიშვნელობის შესახებ გამოცდილების გაზიარების სემინარს კი იუსტიციის სამინისტრო წარუძღვება.

სამდივნომ ფორუმს აცნობა, რომ თანხმდება ბოლო დეტალები ღონისძიების დღის წესრიგის პირველ ვერსიასთან დაკავშირებით. აღნიშნულის შემდგომ, სამდივნო დეტალურ ინფორმაციას მიაწოდებს ფორუმს ღონისძიების შესახებ.

4. OGP-ში საქართველოს პარლამენტის მონაწილეობის გეგმები - ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნა

OGP-ში საქართველოს პარლამენტის მონაწილეობის გეგმების შესახებ ისაუბრეს ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორმა, ფორუმის მომხსენებელმა ბ-ნმა გიორგი კლდიაშვილმა და IDFI-ის კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელმა, ბ-ნმა გიორგი ხიშტოვანმა.

გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) IDFI-სთან ერთად ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის მთავარი მიზანია OGP-ის ფარგლებში საპარლამენტო ღიაობის გაზრდა და

პარლამენტის ღიაობის სამოქმედო გეგმის შემუშავება. პროექტი საქართველოს პარლამენტთან პარტნიორობით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის „საქართველოში საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება“ ფარგლებში მიმდინარეობს. საქართველოს პარლამენტთან ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად პროექტით[1] გათვალისწინებულია „საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის“ შექმნა, რომლის შემადგენლობაში შევლენ პარლამენტის წევრები და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბ-ნმა ხიშტოვანმა აღნიშნა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 12 თებერვლის ბრძანებით შეიქმნა ინტერფრაქციული ჯგუფი პარლამენტის 11 წევრის მონაწილეობით. ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნა პარლამენტის წევრი თინათინ ხიდაშელი. პარლამენტის თავმჯდომარის ამავე ბრძანებით განისაზღვრა, რომ ინტერფრაქციულმა ჯგუფმა 2015 წლის 1 სექტემბრამდე უნდა წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს „საქართველოს პარლამენტის სამოქმედო გეგმა ღია პარლამენტისთვის“. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ინტერფრაქციული ჯგუფი თავისი საქმიანობის პროცესში ითანამშრომლებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა „ჯამპსტარტ ჯორჯიას“ წარმომადგენელმა, ბ-ნმა ერიკ ბარეტმა, რაზეც ბ-ნმა ხიშტოვანმა აღნიშნა, რომ „ჯამპსტარტ ჯორჯია“ უკვე გათვალისწინებულია პროცესების მონაწილე ერთ-ერთ ორგანიზაციად და ისინი მალე მიიღებენ ოფიციალური მოწვევის წერილს აღნიშნულთან დაკავშირებით.

IDFI-ის წარმომადგენელთა ცნობით, აპრილის დასაწყისში იგეგმება ინტერფრაქციული ჯგუფის პირველი შეხვედრა. ასევე, შემდგომი თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია მემორანდუმის გაფორმება „საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის“ მონაწილე მხარეებს შორის, კერძოდ, ინტერფრაქციული ჯგუფის წევრებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის.

ბ-ნმა ხიშტოვანმა აღნიშნა, რომ IDFI უკვე ასრულებს კვლევას, რომლის ფარგლებშიც მიმოიხილავს OGP-ის წევრი ქვეყნების მიერ საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს და უკვე განხორციელებულ აქტივობებს, რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვნად დაეხმარება სამუშაო ჯგუფს საქართველოს პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საზოგადოებასთან კონსულტაციების 2 ეტაპის გამართვა: პირველ ეტაპზე სამუშაო ჯგუფი გამოიკვლევს თუ რა მოლოდინი აქვს საზოგადოებას პარლამენტისგან და რა უნდა ჩაიდოს პარლამენტის ღიაობის სამოქმედო გეგმაში, ხოლო კონსულტაციების მეორე ეტაპზე, საზოგადოებას ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია წარედგინება განსახილველად.

ბ-ნმა ხიშტოვანმა აღნიშნა, რომ პარლამენტი გეგმავს შეუერთდეს ღია პარლამენტის დეკლარაციას, რაც შესაძლოა მოხდეს ინტერფრაქციულ ჯგუფსა და სამუშაო ჯგუფს შორის მემორანდუმის გაფორმების თანადროულად 2015 წლის აპრილში.

[1] დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ იხილეთ აქ.

5. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების ანალიზი გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

სამდივნოს წარმომადგენელმა ქ-ნმა დეა ცარციძემ ფორუმს წარუდგინა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომელიც სრულად ეყრდნობა პასუხისმგებელი უწყებების მიერ სამდივნოსთვის მიწოდებულ ინფორმაციას.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2014 წელს შესასრულებელი ვალდებულებებიდან სრულად შესრულდა 6 ვალდებულება, ესენია:

- მომხმარებლის ხმა;
- ონლაინ კონსულტაციის მექანიზმის განვითარება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება დამუშავებად ფორმატში;
- საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალე და მიუკერძოებელი წესების შემუშავება;
- ფარული მიყურადების შესახებ სასამართლო სტატისტიკის პროაქტიული გამოქვეყნება;
- ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მხარდაჭერა და კოორდინაცია.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას, 2014 წლის მონიტორინგის შედეგების მიხედვით, 15 ვალდებულება უმეტესწილად შესრულდა, ხოლო ნაწილობრივ შესრულებულია 8 ვალდებულება. სამდივნომ ცალკე გამოყო ის 5 ვალდებულება, რომელიც, დადგენილი ვადების მიხედვით, 2014 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა მათი შესრულების პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება, ესენია:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერვისების ხელმისაწვდომობა იუსტიციის სახლში;
- რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციის გზით;
- სადაზღვევო სერვისი იუსტიციის სახლში;
- მომხმარებლის კომფორტზე ორიენტირებული ახალი სერვისის - "JUSTdrive"-ს ამოქმედება;
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისები იუსტიციის სახლში.

რაც შეეხება ვალდებულებათა განხორციელების ეტაპების შესრულებას, მათი უმრავლესობა (42 ეტაპი) სრულად შესრულდა, უმეტესწილად შესრულდა 25 ეტაპი, ხოლო 28 ეტაპი, მონიტორინგის I რაუნდის მდგომარეობით, ნაწილობრივ შესრულებულია; მონიტორინგის შედეგების თანახმად, არ შესრულდა ვალდებულებათა განხორციელების მხოლოდ 2 ეტაპი.

სამდივნოს წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ვალდებულებათა **განხორციელების პროცესის** მონიტორინგის შესახებ, რომლის თანახმადაც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების უმრავლესობის განხორციელების პროცესი მიმდინარეობს, ხოლო 5 ვალდებულების განხორციელების პროცესი უკვე დასრულებულია. ამ ეტაპზე, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შორის მხოლოდ ერთი ვალდებულების განხორციელების პროცესია შეჩერებული.

სამდივნოს წარმომადგენელმა ისაუბრა იმ ძირითად გამოწვევებზე, რომლებიც იდენტიფიცირებულ იქნა პასუხისმგებელი უწყებების მიერ ვალდებულებათა შესრულების პროცესში. პასუხისმგებელი უწყებების მიერ ძირითადი გამოწვევების შესახებ მოწოდებული ინფორმაცია, სამდივნოს მიერ თვისებრივად დამუშავდა. აღნიშნულის თანახმად, მთავარ გამოწვევებად სახელდება საკითხის კომპლექსურობა, ვადის ცვლილება და ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებული სირთულეები. პასუხისმგებელი უწყებების მცირე ნაწილი გამოწვევად ასახელებს საკანონმდებლო ცვლილებას ან პარტნიორის არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

სამდივნოს წარმომადგენელმა შეაჯამა პასუხისმგებელი უწყებების მიერ დონორთა მხარდაჭერის საჭიროების შესახებ მიღებული ინფორმაციაც. 2014 წლის მონიტორინგის შედეგების თანახმად, დონორთა მხარდაჭერა საჭიროა შემდეგი ათი ვალდებულების განსახორციელებლად:

- „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა;
- ელექტრონული არქივის სისტემის შექმნა;
- მოქალაქის პორტალის განვითარება;
- საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის შექმნა და გამოქვეყნება;
- საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა;
- სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტების ხელმისაწვდომობა;
- ფარული მიყურადების შესახებ სასამართლო სტატისტიკის პროაქტიული გამოქვეყნება;
- ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მხარდაჭერა და კოორდინაცია;

როგორც მონიტორინგის შედეგების ანალიზმა აჩვენა პასუხისმგებელი უწყებებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია დონორთა მხარდაჭერა ცნობიერების ამაღლების/ინფორმირებულობის გაზრდის მიმართულებით. დონორთა საჭიროების განმარტებებში ასევე სახელდება ფინანსური, ტექნიკური და საერთაშორისო ექსპერტთა დახმარების მიმართულებებიც.

პრეზენტაციის დასასრულს სამდივნოს წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი მონიტორინგის შედეგები ეფუძნება პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ხოლო საბოლოო მონიტორინგის ანგარიშის მოსამზადებლად სამდივნო გააანალიზებს როგორც პასუხისმგებელი უწყებების მიერ, ასევე სამოქალაქო საზოგადოების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

6. ინფორმაცია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეორე რაუნდის შესახებ; OGP-ის მიერ შემუშავებული ქვეყნის კალენდარი

სამდივნოს წარმომადგენელმა ისაუბრა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეორე რაუნდისთვის განსაზღვრული თარიღების შესახებ. ფორუმის მიერ მიღებული სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, მონიტორინგი კვარტალურად ხორციელდება. სამდივნომ უკვე დაიწყო მუშაობა მონიტორინგის მეორე რაუნდზე, რომელიც მოიცავს 2015 წლის იანვარი-მარტის პერიოდს და შემდეგ ეტაპებად იყოფა:

- მონიტორინგის ჩარჩოს დაგზავნა - 18.03-31.03;
- სამდივნოს მიერ მონაცემების დამუშავება - 31.03-07.04;
- სამოქალაქო საზოგადოების შეფასებები - 07.04-15.04;
- სამდივნოს მიერ მონიტორინგის ანგარიშის მომზადება - 15.04-22.04;
- სამდივნოს მიერ მომზადებული ანგარიშის ფორუმისთვის წარდგენა - 24.04.

სამდივნომ ასევე ისაუბრა სამოქმედო გეგმის შესრულების თვითშეფასების შუალედური ანგარიშის წარდგენისთვის განსაზღვრული თარიღების შესახებ, რომელიც OGP-ის სამდივნოს მიერ მომზადდა. საქართველომ სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში OGP-ს 2015 წლის 30 სექტემბერს უნდა წარუდგინოს. სამდივნომ კიდევ ერთხელ განიხილა თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისთვის განსაზღვრული ეტაპები და ფორუმთან ერთად იმსჯელა თითოეულისთვის საჭირო დროზე. სამდივნომ ფორუმს თარიღების შემდეგი სამუშაო ვერსია წარუდგინა:

- პასუხისმგებელი უწყებების მიერ გეგმის შესრულების წერილობითი ანგარიშების წარდგენა - 15.07 – 31.07;
- შეხვედრები/ინტერვიუები პასუხისმგებელ უწყებებთან - აგვისტო;
- ანგარიშის პროექტის ფორუმისთვის წარდგენა - აგვისტო;
- ანგარიშის პროექტის ფორუმის სხდომაზე განხილვა (მრგვალი მაგიდა) - აგვისტო;
- ანგარიშის საჯარო კომენტარებისთვის გამოქვეყნება - 2 კვირა (30.08 – 14.09);
- სამდივნოს მიერ საბოლოო ანგარიშის მომზადება და ანტიკორუფციული საბჭოსა და OGP-ის სამდივნოსთვის წარდგენა - 14.09 – 30.09.

ფორუმის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ სასურველია პასუხისმგებელი უწყებების მიერ გეგმის შესრულების წერილობითი ანგარიშების სამდივნოსთვის წარდგენა ივლისის დასაწყისში დაიწყოს ნაცვლად ივლისის მეორე ნახევრისა, ხოლო ინტერვიუები სამდივნომ ივლისის მეორე ნახევრიდან აგვისტოს პირველ ნახევრამდე პერიოდში დაგეგმოს. სამდივნო აღნიშნულის შესაბამისად განაახლებს პირველად თარიღებს.

7. ღია მმართველობის პარტნიორობის ჯილდო 2015[2]

სამდივნომ ისაუბრა ღია მმართველობის პარტნიორობის ჯილდოს შესახებ. 2015 წელს ჯილდოს თემაა სახელმწიფო სერვისების განვითარება ღია მმართველობის გზით (Improving Public Services through Open Government). კონკურსში მონაწილეობის მსურველი ქვეყნები კონკურსისთვის შექმნილ სპეციალურ ვებგვერდზე უნდა დარეგისტრირდნენ არაუგვიანეს 17 აპრილისა; სრული აპლიკაციის წარდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 15 ივნისი. სამდივნომ დეტალურად მიმოიხილა აპლიკაციის ძირითადი ნაწილები, მონაწილეობის კრიტერიუმები, ეტაპები და სხვა გაიდლაინები. სამდივნომ ასევე მოკლედ მიმოიხილა ღია მმართველობის ჯილდოს კონკურსში მონაწილეობის 2014 წლის გამოცდილებაც.

გაიმართა დისკუსია, თუ რა პროექტი შეიძლება წარადგინოს საქართველომ აღნიშნულ კონკურსზე. დასახელდა სსიპ - იუსტიციის სახლის მიერ დანერგილი პროექტი - „მომხმარებლის ხმა“. ფორუმის

[2] დეტალური ინფორმაცია ღია მმართველობის პარტნიორობის ჯილდოს შესახებ იხილეთ აქ

მომხსენებელმა, ბ-ნმა გიორგი კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ „მომხმარებლის ხმის“ კონცეფცია პასუხობს 2015 წლის ჯილდოს თემატიკის მოთხოვნებს.

ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე: სამდივნო ჯილდოს შესახებ დეტალურ ინფორმაციას მიაწოდებს ფორუმს, რათა ფორუმის წევრებმა დაასახელონ ის პროექტები, რომლებიც მათი მოსაზრებით პასუხობს საკონკურსო მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საქართველოს წარმატებულ მონაწილეობას.

8. ვალდებულებების შესრულების პროგრესი

ვალდებულების შესრულების პროგრესის შესახებ ფორუმს ანგარიში წარუდგინეს მთავრობის ადმინისტრაციამ და სსიპ - იუსტიციის სახლმა. მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, ქ-ნმა თამარ როგავამ, ისაუბრა ელექტრონული პეტიციების შექმნის ვალდებულების შესახებ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კოორდინაციით 2014 წელს შეიქმნა ელექტრონული პეტიციების სამუშაო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს შემდეგ უწყებებს: მთავრობის კანცელარიის დონორების კოორდინაციის სამმართველო, მთავრობის კანცელარიის ინტერნეტ კომუნიკაციის სამსახური, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების სამმართველო/ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო, საჯარო სამსახურის ბიურო, USAID, USAID-ის პროექტი G3 და IDFI. ქ-ნმა თამარმა აღნიშნა, რომ USAID-ისა და USAID G3-ის დახმარებით სამუშაო პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა. შედეგად, შეიქმნა 2 დოკუმენტი: 1) მოქალაქის პლატფორმის (I-Change.ge) მართვის პროცედურული სახელმძღვანელო და 2) ელ-პეტიციების სამართლებრივი საკითხების ანალიზი. მართვის პროცედურული სახელმძღვანელო IDFI-ს კონცეფციაზე დაყრდნობით აყალიბებს კონცეფციას, თუ როგორი უნდა იყოს ელექტრონული პეტიციების პლატფორმა საქართველოში და ასევე განმარტავს პეტიციების პორტალის მართვასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს. ელ-პეტიციების სამართლებრივი საკითხების ანალიზი კი მიმოიხილავს არსებულ სამართლებრივ რეგულირებას, რაც საფუძვლად დაედება ელ-პეტიციების პლატფორმის შესახებ სამართლებრივი დოკუმენტის მიღებას. დამყარდა კავშირი აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ელექტრონული პეტიციების პლატფორმის "We The People" განყოფილებასთან გამოცდილების გაზიარების მიზნით; მათ მზადყოფნა გამოხატეს, დახმარება გაუწიონ საქართველოში მსგავსი პლატფორმის განვითარების პროცესს. ქ-ნმა თამარმა აღნიშნა, რომ გეგმის თანახმად, პორტალი 2015 წლის ბოლოს უნდა ამოქმედდეს. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტი მუშაობს სამართლებრივი დოკუმენტის ჩამოყალიბებაზე, რათა დარეგულირდეს პლატფორმასთან დაკავშირებული სამართლებრივი მხარე; აღნიშნული დოკუმენტი შეთანხმდება იუსტიციის სამინისტროსთან. მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მუშაობის პროცესში ერთ-ერთი რთული საკითხი იყო პეტიციის განხილვისთვის საჭირო ხელმოწერების რაოდენობის განსაზღვრა; ამ ეტაპზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საპილოტე ვერსიად გათვალისწინებული იქნეს IDFI-ს რეკომენდაცია და 5000 ხელმოწერის შეგროვების შემდგომ დაიწყოს პეტიციის განხილვა; ხელმოწერების შეგროვების ვადად განისაზღვრა 1 თვე, ხოლო მთავრობის ადმინისტრაციის პეტიციაზე პასუხის მოსამზადებლად ექნება 3 თვე. ქ-ნმა თამარმა აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში პეტიციები შესაძლოა მთავრობის სხდომაზეც

იქნეს განხილული, თუმცა ასეთი შემთხვევისთვის შედარებით მკაცრი წინაპირობები იქნება დადგენილი. მიმდინარე ეტაპზე მონაცემთა გაცვლის სააგენტო მუშაობს პორტალის ტექნიკური დავალების მომზადებაზე მთავრობის ადმინისტრაციის IT ჯგუფთან ერთად. გეგმაშია ასევე საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება, რათა საზოგადოებამ შეიტყოს ჩართულობის ახალი მექანიზმის შექმნის შესახებ. ქ-ნმა თამარმა აღნიშნა, რომ დღემდე ელექტრონული პეტიციების პორტალის შექმნასთან დაკავშირებულ პროცესებს კოორდინაციას უწევდა მთავრობის ადმინისტრაციის დონორების კოორდინაციის სამსახური, თუმცა ეტაპობრივად პროცესს გადაიბარებს მთავრობის ადმინისტრაციის ინტერნეტ კომუნიკაციების სამსახური, რომელიც ასევე იქნება პასუხისმგებელი პლატფორმის მოდერაციაზე. დასასრულს, ქ-ნმა თამარმა მადლობა გადაუხადა USAID-ს გაწეული უმნიშვნელოვანესი დახმარებისთვის და აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციას იმედია აქვს, რომ წარმატებული თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება.

ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე: მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი I-change-ის კონცეფციას მიაწოდებს სამდივნოს, სამდივნო კი აღნიშნულს ფორუმის წევრებს გაუგზავნის.

ვალდებულებათა პროგრესის შესახებ ისაუბრა ასევე იუსტიციის სახლის წარმომადგენელმა ქ-ნმა ნინო მურველაშვილმა. ქ-ნმა ნინომ მიმოიხილა იუსტიციის სახლის მიერ აღებული შემდეგი სამი ვალდებულება: (1) კერძო სექტორის სერვისების დანერგვა იუსტიციის სახლებში; (2) მომხმარებლის ხმა; (3) JustDrive.

პროექტი „მომხმარებლის ხმა“ 2014 წლის 17 აპრილიდან ამოქმედდა და გულისხმობს: ა) მომხმარებლის უკუკავშირის/რეკომენდაციის მიღებას და აღრიცხვას შემდგომი მონიტორინგის/რეაგირების მიზნით; ბ) უარყოფითი შინაარსის უკუკავშირის შემთხვევაში, უკმაყოფილების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების განხორციელებას; გ) რეკომენდაციის შემთხვევაში, აღნიშნულის გათვალისწინებით მომსახურების ხარისხის/პროცესის გაუმჯობესებას. იუსტიციის სახლის მომხმარებლებს უკუკავშირი შეუძლიათ დააფიქსირონ ყველა ფილიალში არსებულ უკუკავშირის დაფასთან აპლიკაციის შევსებითა და ასევე ერთიან სატელეფონო მომსახურების სამსახურში დარეკვით. ქ-ნმა ნინომ ფორუმის წევრებს გააცნო მომხმარებლის ხმის სტატისტიკა: ამოქმედებიდან დღემდე მიღებულია 963 უკუკავშირი, მათგან 60% დადებითი, 30% კი უარყოფითი შინაარსისაა; უკუკავშირის 10% სარეკომენდაციო ხასიათისაა.

იუსტიციის სახლის წარმომადგენლის თქმით, „ჯასთ დრაივი“ 2015 წლის 30 აპრილიდან ამოქმედდება და იუსტიციის სახლის მომხმარებელს ექნება შესაძლებლობა მზა დოკუმენტები ავტომანქანიდან გადმოუსვლელად მიიღოს. ქ-ნმა ნინომ აღნიშნა, რომ „ჯასთ დრაივის“ ამოქმედება ვერ განხორციელდა პროექტის დანერგვისთვის საჭირო ერთ-ერთი ტესტირების დროს აღმოჩენილი მნიშვნელოვანი პროგრამული ხარვეზის გამო, რომლის აღმოფხვრასაც ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა.

ქ-ნმა ნინომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისი იუსტიციის სახლში დანერგილია 2015 წლის 21 იანვრიდან, ხოლო სადაზღვევო სერვისი 2015 წლის 1 ივნისიდან დაინერგება. აღინიშნა, რომ სადაზღვევო სერვისის დანერგვისთვის განსაზღვრული ვადის დარღვევის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი რამდენიმე თვის განმავლობაში იუსტიციის

სახლში უფასო ან 15 ლარის ღირებულების მქონე ID ბარათების აქციების პერიოდში ოპერატორების მაღალი დატვირთულობა იყო.

9. USAID-ის ჩართულობა ელექტრონული პეტიციების პორტალის შემუშავების პროცესში

ფორუმს სიტყვით მიმართა დევიდ სტოუნჰილმა, USAID დემოკრატიისა და მმართველობის ოფისის დირექტორის მოადგილემ. მან OGP-ის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამერიკისთვის ღია მმართველობა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და USAID მზად არის კვლავ მხარი დაუჭიროს საქართველოს ამ ინიციატივის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებით. ბ-ნმა სტოუნჰილმა ასევე აღნიშნა საქართველოს მიღწევები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე, მათ შორის, საქართველოს წარმატებული მონაწილეობა OGP-ის კონკურსზე „Bright Spots", მმართველო კომიტეტის წევრობა და 3-4 ივნისს საქართველოში დაგეგმილი OGP-ის რეგიონული შეხვედრა.

ფორუმს ასევე მიმართა ბ-ნმა დეივიდ სმიტმა, USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ხელმძღვანელმა საქართველოში. მან მოკლედ მიმოიხილა პროექტის პრიორიტეტული მიმართულებები და მოსალოდნელი შედეგები. ბ-ნმა სმიტმა აღნიშნა, რომ GGI უკვე აქტიურად მუშაობს ღია მმართველობის მხარდასაჭერად საქართველოში; ამასთანავე, GGI-ს გუნდი ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოსთან ერთად გეგმავს სამომავლო ნაბიჯებს სამოქმედო გეგმის სხვადასხვა პროექტის მხარდასაჭერად.

GGI-ის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულების მენეჯერმა, ბ-ნმა თენგიზ ჭუმბურიძემ ისაუბრა I-change-ის ლოგიკური ჩარჩოს შემუშავების მიმდინარე პროცესზე და ფორუმს წარმოუდგინა პირველადი სამუშაო ვერსია აღნიშნულთან დაკავშირებით. ბ-ნმა თენგიზმა ისაუბრა დასმული ამოცანების, შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ. განხილულ იქნა ასევე კრიტიკული ვარაუდები, რაც შესაძლოა პროექტის განხორციელებისას წარმოიშვას. ბ-ნ თენგიზმა განიხილა პროექტის მონიტორინგისა და განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსიაც.

10. დამატებითი საკითხები

- „ჯამპსტარტ ჯორჯიას" წარმომადგენელმა, ბ-ნმა ერიკ ბარეტმა განსახილველად წამოწია ინტერაქტიული სტატისტიკისა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკის შექმნის ვალდებულება. ბ-ნმა ერიკმა სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს განემარტათ თუ როგორც მიმდინარეობს აღნიშნული ვალდებულების შემუშავების პროცესი და როდისთვის იქნება რუკა ხელმისაწვდომი. შსს-ს წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით, აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებას შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო პარტნიორ უწყებას საქართველოს მთავარი პროკურატურა წარმოადგენს. თუმცა, იმისთვის, რათა რუკაზე სრულფასოვნად აისახოს საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული დანაშაული, მიზანშეწონილად ჩაითვალა ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების სიის გაფართოება. აღნიშნული ვალდებულების დროული და ეფექტიანი იმპლემენტაციისთვის, საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 28 ნოემბერს გამოსცა N2116 განკარგულება, რომლის მიხედვითაც საქართველოს

შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, ფინანსთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებისა და მთავარი პროკურატურის შესაბამის სამსახურებს (საგამოძიებო ფუნქციის მქონე) შესაძლებლობა მიეცათ შესაბამისი GPS მოწყობილობების შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების. სწორედ GPS მოწყობილობების შეძენის პროცესი იგეგმება ამ ეტაპზე (გარკვეულ ეტაპზე შესყიდვის პროცესი ტექნიკური მიზეზების გამო შეფერხდა) და შსს-ს წარმომადგენლის თქმით, ვალდებულება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში განხორციელდება.

- ფორუმის მომხსენებელმა, ბ-ნმა გიორგი კლდიაშვილმა დასვა კითხვა 112-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების ვალდებულების პროგრესთან დაკავშირებით, რაზეც 112-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 27 მარტს იგეგმება პრეზენტაცია და ჩაეშვება სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის 112-თან მოკლე ტექსტური შეტყობინებითა და ვიდეო ზარით დაკავშირებას. 112-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად სერვისი განკუთვნილი იქნება 500 სმენადაქვეითებული პირისთვის, ეტაპობრივად კი 112 იმუშავებს, რომ აღნიშნულმა სერვისმა სრულად დაფაროს ქვეყანა.

- ბ-ნმა სანიკიძემ ფორუმს აცნობა, რომ საქართველოს მთავრობის სახელით, OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრმა, ქალბატონმა თეა წულუკიანმა OGP-ის წარუდგინა საქართველოს კანდიდატურა 2015-2017 წლებში პარტნიორობის თანათავმჯდომარის პოზიციაზე განსახილველად. ბ-ნმა სანიკიძემ აღნიშნა, რომ კანდიდატთა განხილვის შემდგომ, მოქმედი თავმჯდომარეები თავიანთ რეკომენდაციას წარუდგენენ SC-ის სრულ შემადგენლობას ახალი თავმჯდომარეების არჩევასთან დაკავშირებით; აღნიშნული დაგეგმილია SC-ის მომდევნო შეხვედრისთვის, რომელიც მექსიკაში, 2015 წლის 21-23 აპრილს გაიმართება.

11. ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე:

- სამდივნო 2014 წლის მონიტორინგის ჩარჩოს კომენტარებისა და შეფასებისთვის გაუგზავნის ფორუმის წევრ არასამთავრობო ორგანიზაციებს არაუგვიანეს 23 მარტისა;
- სამდივნო ღია მმართველობის ჯილდოს შესახებ დეტალურ ინფორმაციას მიაწოდებს ფორუმს;
- სამდივნო I-change-ის მართვის პროცედურულ სახელმძღვანელოს მიაწოდებს ფორუმის წევრებს;
- სამდივნო სამოქმედო გეგმის შუალედური თვითშეფასების ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებით ფორუმთან შეთანხმებულ თარიღებს ასახავს შესაბამის დოკუმენტში.

ფორუმის მორიგი სამუშაო შეხვედრა 2015 წლის 30 აპრილს გაიმართება.

12. ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ

იუსტიციის სამინისტრო	ზურაბ სანიკიძე, ქეთი ცანავა, დეა ცარციძე
სსიპ - იუსტიციის სახლი	ნინო მურველაშვილი
სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ნანა წიკლაური
სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	თემურ ჩიხრაძე
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	პავლე ოკუჯავა
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ნათია გულუა
სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	გიორგი ჯაფარიძე
უზენაესი სასამართლო	ლია მჭედლიშვილი; თორნიკე გეწაძე
შინაგან საქმეთა სამინისტრო	შალვა ხაბულიანი; გიორგი ყაველაშვილი
სსიპ - 112	ანა კეკელიძე
სსიპ - შსს აკადემია	დავით ალავერდაშვილი
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	თამარ როგავა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	სალომე საღარაძე
„ჯამპსტარტ ჯორჯია’	ერიკ ბარეტი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	გიორგი კლდიაშვილი, გიორგი ხიშტოვანი; დავით მაისურაძე
ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო	ვაკო ნაცვლიშვილი
USAID	David Stonehill
USAID GGI	David Smith, მარიკა გორგაძე, თენგიზ ჭუმბურიძე
OGP Independent Reporting Mechanism (IRM)	ლაშა გოგიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ამალია ოგანჯანიანი